

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

22 მაისი 2013 წ

ქ. ბათუმი

ბრძანება №01-08/15

რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამებზე („თერაპიული სტომატოლოგია“, „ორთოპედიული სტომატოლოგია“) მიღების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვისა და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა“, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის №135/ნ ბრძანების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მოადგილის **2012 წლის 7 აგვისტოს 02/47242 წერილის**, „დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 23 დეკემბრის №135 დადგენილების, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სარეზიდენტო პროგრამების დამტკიცების შესახებ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2009 წლის 17 ივლისის №94 დადგენილების, დიპლომისშემდგომ სამედიცინო განათლების ექიმთა გადამზადების პროგრამების „ორთოპედიული სტომატოლოგია“, „თერაპიული სტომატოლოგია“ დამტკიცების შესახებ ბსუ-ის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 2 თებერვლის №14 დადგენილების, ბსუ-ს სტომატოლოგიის სარეზიდენტო პროგრამების ხელმძღვანელის ვ. ჩანტლაძის **2013 წლის 17 მაისის №2074** მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) მიღების მიზნით სარეზიდენტო და დიპლომისშემდგომ სამედიცინო განათლების ექიმთა გადამზადების პროგრამებზე (სპეციალობა: „თერაპიული სტომატოლოგია“, „ორთოპედიული სტომატოლოგია“) გამოცხადდეს მისაღები კონკურსი.
2. კონკურსანტთა განცხადებებისა და საბუთების მიღება იწარმოებს ბსუ-ს კანცელარიაში **2013 წლის 22 მაისიდან 30 მაისის** ჩათვლით, 10სთ-დან 17სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა.

3. პროგრამებზე ჩარიცხვა განხორციელდეს შესაბამის სპეციალობაზე მისაღებ პირთა დადგენილი ოდენობის (კვოტის) ფარგლებში („თერაპიული სტომატოლოგია“ კვოტა - 7; “ორთოპედიული სტომატოლოგია” კვოტა - 2).
4. თუკი, სარეზიდენტო პროგრამის მაძიებელთა ოდენობა აღემატება კვოტით დადგენილ ოდენობას:
 - ა) უპირატესობა მიენიჭოს რეზიდენტურის ალტერნატიული პროგრამის მაძიებლებს; ჩარიცხება ის პირი, რომელსაც ერთიან საკვალიფიკაციო გამოცდაზე მიღებული აქვს უფრო მაღალი შეფასება. თანაბარი შეფასების შემთხვევაში საუკეთესო გამოვლინდება შესაბამის სპეციალობაში ჩატარებული ტესტირების შედეგად;
 - ბ) დიპლომისშემდგომ სამედიცინო განათლების ექიმთა გადამზადების პროგრამებზე კონკურსის შემთხვევაში საუკეთესო გამოვლინდება შესაბამის სპეციალობაში ჩატარებული ტესტირების შედეგად.
5. სპეციალობის მაძიებლის ჩარიცხვის ბრძანება გამოცემული იქნეს კონკურსის შედეგების შესახებ სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე.
6. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.
7. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე განთავსდეს კანცელარიასთან და განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52).
9. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი

ალიოზა ბაკურიძე

რეზიდენტურაში ჩაბარების მსურველთა საყურადღებოდ!

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამებზე („თერაპიული სტომატოლოგია“, „ორთოპედიული სტომატოლოგია“).

კონკურსანტთა საბუთების მიღება იწარმოებს ბსუ–ს კანცელარიაში, **2013 წლის 22 მაისიდან 30 მაისის** ჩათვლით.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

ა) განცხადება რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ;

ბ) უმაღლესი სამედიცინო განათლების დამადასტურებელი საბუთი (დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი);

გ) ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შედეგად მინიჭებული სპეციალობის მაძიებლის დამადასტურებელი მოწმობა (ცნობა) / დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის დამადასტურებელი სერთიფიკატის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

დ) ავტობიოგრაფია (CV);

ე) ფოტოსურათი 3X4 - 2 ცალი;

ვ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისთვის);

ზ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.